

„მე უნე მიყვარდი, უნე მნაგდი, უნე გემსახურებოდი, როგორც შევექლო“...

ნიკოლაჟის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №11 (300) 27 ნოემბერი 2020 წელი; ფასი 1 ლ.

გიორგობას გილოცავთ ფოთელად!



**მაიკ კოშკოს ვიზიტის
მთავარი აქტინები
დადგა მომენტი რეგიონში
აგმ-ს
ნარეზადგენლობის
გაქლიერების**

გმ-3-გვ



**სსკოს საბოლოო შედეგები
ოქტი 26:
ფოთის, სოხისა და
სენაკის მუნიციპალიტეტები**

1. 41 - ირაკლი ხახუბია - ხმების წილი: 54.08%32916
2. 5 - მურთაზ ჯოდელავა - ხმების წილი: 27.29%16608
3. 2 - გიორგი ბოკერია ხმების წილი: 6.24%3796
4. 61 - დათო სარსანიძე - ხმების წილი: 3,58%2177
5. 8 - თემურაზი ვახუტია - ხმების წილი: 1,45%880

ერთი დღე, როცა კალაუფლება ქართველ ხალხს



**აკუთვნის, მერა?
არჩევნები
და ორად
გაყოფილი
საქართველო**



ვინც „ნაცმოძრაობას“ ირჩევს უფრო საშიშია, ვინც „ნაცები“
გმ-2-გვ

გილოცვა გავრცედა აკაკი (გია) დარჯანიას ნიკო ნიკოლაჟის მედლით დაჯილდოების გამო



გულოცვით
ბატონ აკაკი
(გია) დარჯანიას
ქალაქის აღმშენებლობის საქმეში
შეტანილი წვლილისთვის ნიკო
ნიკოლაჟის მედლით დაჯილდოებას.



გუსურვებით წარმატებებს პირად
და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წმინდა გიორგი, გააერთიანე საქართველო, შეაწყვარა ქართველებს ერთმანეთი!



წმინდა გიორგის თაყვანისცემა საქართველოში მე-4 საუკუნის დასაწყისში იწყება. ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებენ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის ცნობით, წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო. სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე, ბოდბეში წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო. (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე უამრავი ტაძარია აგებული. წმინდა გიორგი მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად ითვლება. ასევე, მას ევედრებიან დემონური ძალებისგან გამოსხნას. წმინდა

გიორგი ქართველთა მფარველად ითვლება. უფლის განგებით, ქართველი ერის მფარველობა მას დაეკისრა. სწორედ ამიტომ, წმინდა გიორგის იაკოსს დაემატა მუხლი: „გისაროდენ უძლეველო წინამძროლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო.“

ირაკლი ხახუბია - კარლამუნის მემორიტიზარი დაუბნა

ძვირფასო ფოთელებო, სოხელებო და სენაკელებო, გილოცავთ გამარჯვებას!

მადლობა ნდობისთვის, მადლობა გვერდში დგომისა და თავდაუზოგავი შრომისთვის!

მადლობა თითოეულ თქვენგანს უკეთესი მომავლის და საკუთარი შესაძლებლობების რწმენისთვის.

ჩვენ ეს შევძელით - გავიმარჯვეთ და წინ უამრავი საქმე გველის.

ერთად გავიმარჯვეთ, ერთად ვიშრომებთ და ერთად შევქმნით უკეთეს ხვალისდელ დღეს.



ფოთის საზოგადოებრივი სასლ „ბომონდი“ ორი ახალი სისოსსლე დაიბნა




გმ-4-გვ

ლონიდ-ლუკა კახანჯი

ემდგმება ღირსეულ ლაზებს
ბატონ ნერსე და ფათე ბაცაშვებს

დიღენი




2020 წელი
ლაზთა გენეზისის ოქულტური ანალიზი

გმ-6-გვ



“ის ჯადოქარი იყო...
წაიღა და დატოვა სისარიელა,
რომელიც
არანდროს შივისსება” -
საფანსურთომ საფარო
ფანსურთის
ღმერთს ემშვიდობება
არგენტინელი ლეგენდა
დიეგო მარადონა
გულის შებენით გარდაიცვალა.



კატრე ქონაკიძე-ჭალადიღელი
ფაზისის საერო-სამეცნიერო
აკადემიის ნამდვილი წევრი,
აკადემიკოსი.

**იხსო ქრისტე თაჟისი
უკანასკნელი სიზყუები
ქალღეურ, ანუ
წინარქართულ**

ენაზე წარმოსთქვა

გმ-5-გვ

ერთი ღვა, როცა ქალაუფლავა ქართულ ხალხს ეკუთვნის, მერა?
არჩევნები და ორად გაყოფილი საქართველო
ვინც „ნაციონალისტს“ ირჩევს უფრო საშიშია, ვინც „ნაციტი“



არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძნელია გააერთიანო ორად გაყოფილი, გაორებული საქართველო. რამეთუ დაპირისპირებულ ძალებს შორის არაა ქვეყანა, არამედ ხელისუფლებაა. მათ ქვეყნის ინტერესები კი არ აერთიანებს, არამედ ყოფთ და მიდის დაუნდობელი ბრძოლა მიღებული თუ მიუღებული მეთოდებით. იბრძვიან პრესით, ტელევიზიებით, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს დემოკრატიასთან. იმ დემოკრატიასთან, რომელიც ვერ იქცა ხალხის კეთილდღეობის წყაროდ. ხალხი კი, როგორც ცნობილია, ხელისუფლების წყაროა, რომელსაც აბარებს ქვეყანას, აძლევს ძალასა და უფლებას. ხელისუფლებები მდიდრებიან, ხალხი ღარიბდება. ასეთი პარადოქსებითაა სავსე ჩვენი ცხოვრება. ვერ ვისწავლეთ დემოკრატია, ამ გზაზე ბევრჯერ დაგვიცურდა ფეხი, რაც შეეხება წლებად აღწერილებს, იყო მოლოდინი, მრავალპარტიულობისა და კოალიციური მთავრობისა. არც ერთი და არც მეორე. არადა, პროპორციულ არჩევნებს აქამდე უნდა მივყევანეთ, თითქოს მიზანს მიუახლოვდი - ბევრი პარტია იქნა არჩეული, მაგრამ მთავრობა ისევ ერთი პარტიის სივრცეში აღმოჩნდა. ეს არის მოთხოვნაც და მიზანაც, გაუთავებელი ბრძოლის საბაზი. ოპოზიციური პარტიები არ აპირებენ პარლამენტში შესვლას, ითხოვენ ხელახალ არჩევნებს, მოკლედ, მთელი ცხოვრება საარჩევნო კამპანიად გვექცა. არც ისაა დასაძალი, რომ პარტიები ნელ-ნელა ყალიბდება იდეური და სოციალური საფუძვლებით. იდეას ემყარება ჭეშმარიტი თავისუფლება და დემოკრატია. პოლიტიკურ ასპარეზზე ორი პარტიაა გამოკვეთილი, „ოცნება“ და „ნაციტი“, მაგრამ თუ მათ ღიდერებს მოვაცილებთ პარტიებს-საფუძვლები შეერყევათ. ასეთ ვითარებაში ამომრჩეველი არჩევანს ხელისუფლებაზე აკეთებს. მით უფრო არ სურს სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის დაბრუნება. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში კრიზისია ყველა პარამეტრით, რასაც ერთგვარად განაპირობებს პანდემიაც. ეს ხელსაყრელი მომენტია ოპოზიციისათვის. 30 წელია ისინი სპეკულირებენ ხალხის გაჭირვებით. განსაკუთრებით სარგებლობს ამ მომენტით მიხეილ სააკაშვილი-საერთაშორისო

ძეგნილი, მრავალგზის დამნაშავეები მანიპულირებენ ხალხის გაჭირვებით, იბრძვიან ხალხის სახელით, რომელიც შემდეგ არავის ახსოვს. აღარ ახსოვთ ხალხი, რომელმაც ნდობა გამოუცხადა ადამიანთა ჯგუფს და ეს ნდობა ისევ ხალხის თავსატეხია. დაპირისპირება გრძელდება, წყალში იყრება მილიონები და ისევ ხელახლა არჩევნებს ითხოვენ. სად არის გარანტია, ისევ „ოცნება“ არ გაიმარჯვებს ან რატომ ჰგონიათ, რომ ხალხის უკმაყოფილება სააკაშვილის დაბრუნებას ნიშნავს. მაინც რა ძალა აქვს ხელისუფლებას ასე მიმზიდველი, რომ არ ეშვებოდნენ. პოლიტიკურ კინკლაობას შეიძლება ქვეყანა გადაეყვას. ყველა რესურსი, განსაკუთრებით დროის რესურსი ერთმანეთთან ჭიდილში იხარჯება. მათ არ ესმით ერთმანეთის, რითაც ქვეყანა ზარალდება. პარტიები ამომრჩეველით უკმაყოფილოა, მაგრამ რატომ ელოდა უფრო მეტ მხარდაჭერას „ლელო“? ბოკერია და უგულავები? ნათელაშვილი თუ ბურჯანაძე. თუმცა, გასაკვირი „ნაციტის“ 26%-ია. ეს ტრაგედიაა, მაგრამ უფრო დიდი ტრაგედია ის არის ნახევარი მილიონი კაცი ნეოფაშიზმის აღორძინებას უჭერს მხარს. დაიდალა ხალხი პარტიების გაუთავებელი ბრძოლებით. მას ეს არ აინტერესებს. ხალხს სტაბილური ქვეყანა უნდა, სადაც კაცს ეცხოვრება და დაეღვომება, როგორც ვხედავთ ამომრჩეველიც ორად გაყოფილი და არასწორმა არჩევანმა შეიძლება დაღუპოს ქვეყანა. გამოდის კვლავ დაბალია ჩვენი საარჩევნო კულტურა, ინტელექტი. სახელმწიფოებრივი თვალსაწიერი. გამოდის ისევ საარჩევნო მერხებთან ვსხედვართ და ცუდი მოსწავლეებით საშემოდგომო გამოცდას ვიმსახურებთ. დემოკრატიის თავსატეხი მარტო საარჩევნო სისტემა არაა, პროპორციული თუ მაჟორიტარული. შესაქმნელია გადარჩევის მექანიზმი. ისე არიან ჩაბლაუჭებული ხელისუფლებას, ვერ მოაცილებ, რამეთუ ძალა მათ ხელშია და უფლებაც, ყველა ძალოვანი სტრუქტურა, რომელიც ხალხს კი არა ხელისუფლებას ემსახურება. მთავარი ქვაკუთხედი თავისუფალი, დამოუკიდებელი სასამართლოა, რომელიც ვერა და ვერ იქნა მიღწეული, არადა, მის გარეშე წარმოუდგენელია სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა. ამისკენ მოგვიწოდებენ ამერიკელები, ევროპელები. ამისთვის იბრძვის ქართული საზოგადოებაც. ამისთვის ტარდება ამდენი არჩევნები. თუმცა, ჩვენი ხმა, ვერ აღწევს მიზანს და ქარს მიჰყვება როგორც ნამქერი.

პარადოქსია ისიც, რომ „ნაციონალისტები“ აკრიტიკებენ „ოცნებას“ ძველ მოსამართლეთა გამო, რომელთა კლანურ ჩამოყალიბებას თვითონ შეუწყვეს ხელი. პარადოქსია ისიც, რომ არჩევნების გაყალბებაზე გაჰყვირობენ გოგორიშვილები და თარხნიშვილები. „ოცნების“ ბრალია, ისიც, რომ „ნაციტი“ ერთ-ერთი მთავარი

მოთამაშეა პოლიტიკურ ველზე. თუმცა, მტრის ხატი „ოცნების“ საქვეყნო აკეთებს და მის მესამედ არჩევანში დიდი წვლილი მიუძღვის, რამეთუ ხალხს სხვა არჩევანი არა აქვს.

დესტრუქციული ძალები ნაციტების მეთაურობით პროვოკაციებზე მიდიან, რამეთუ დასაკარგი არფერი ქვთ, იქნებ ისევ გამოუვიდეთ ვარდების რევოლუცია. პარადოქსია ისიც, რომ ერთი პარტია უგებს 60 პარტიას. მაინც რა არის არჩევნების კრიტიკიუმი? ფავორიტია ორივე ხელისუფლება, ერთი ახლანდელი, მეორე - ყოფილი, მესამე კი არ ნანს, რომელიც პასუხს მოსთხოვს ყველას. ეროვნული, პატრიოტული ძალა. ყოფილი პარტიები სახელმწიფოს შეუზარდვენ ეს პროცესი უნდა დამთავრდეს.

სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დემოკრატია, აყვავებული ეკონომიკა ერთნაირად უნდა ეკუთვნოდეს ქართველ ხალხს, და არა რომელიმე პარტიას. სოციალური სიღუბნით დაპირისპირებას ურო ჩააღრმავებს. ქვეყანაში არეულობას არ გვაპატიებენ გარე მტრული ძალები. ყველას თავის ინტერესები აქვს ჩვენს დალოცვილ მიწაზე.

სამწუხაროდ, რუსეთი ძლიერდება რეგიონში, და მის ინტერესებშია როცა საქართველო ორად გაყოფილი. ჩვენ რომ ნამდვილი დემოკრატია გვქონოდა, სახელმწიფო მოღვაწეები აგვერჩია და არა ქუჩიდან მოსულები, რითაც დღესაც კეთდება პოლიტიკა, ჩვენ ნატოში კარგახნის შესულები ვიქნებოდით. პოლიტიკა არ უნდა იყოს ფულის კეთების ადგილი. მდიდარი პოლიტიკოსები ღარიბი ხალხის წინააღმდეგ დიდხანს ვერ გაძლებენ.

სიმდიდრე ქვეყნის ძალაა და ყველა მდიდარი და ბედნიერი

დანები. ასე, რომ ყოველმხრივ კრიზისია ქვეყანაში. კითხვის ნიშანს ბადებს - მართლა მივეცი თუ არა ხმა საქართველოს მომავალს. რამეთუ დემოკრატიის სახელით „ვიჩნი“, „ლელო“ და სხვა მსგავსი პარტიები შეგვეყვას პარლამენტში. მაინც რამდენი ზერეულე ამომრჩეველი გვეოლია ქვეყანაში.



სამწუხაროდ, ადამიანთა ურთიერთობებს შიშვე დადი დაასვა პანდემიამ. შეწყდა ურთიერთობები. გაუჭირდა თითქმის ყველა სფეროს ნორმალური ფუნქციონირება. თითქოს მთელი სამყარო გაჩერდა. წინაა ზამთარი - შიშით, გაუგებარი მომავლის, როცა პოზიცია-ოპოზიციის კინკლაობა გრძელდება. მიტინგებზე უბრალო ხალხი იყინება, ჯერ-ჯერობით ცივი შხაპის, წვადებისა და უბედურების მეტი, ნდობის და სყვარულის ფასად არაფერი მიუღია, მას მეტი ძალა არააქვს. ეს იყო მისი არჩევანი ცუდად რომ შემოუტრიალდა. სამწუხაროდ, 30 წელია ხელისუფლებები რევოლუციურ ტალღაზე მოდიან და უდიდესი ძალისხმევა სჭირდება მათ გაშვებას. მშვიდობიანი გზით, დემოკრატიით, ისე როგორც აირჩიეს. ეს მართლაც პარადოქსია.

„ნაციტის“ ქადილი იმ მილიონი ამომრჩეველის შეურაცხყოფაა, რომელმაც მმართველ ძალას დაუჭირა მხარი. მას ამის რესურსი ჰქონდა. თუმცა, ამომრჩეველი, რომ ბევრი რამით უკმაყოფილოა ეს ცხოვრებიდანაც ჩანს. უჭირს ადაამიანებს. ძალიან დაბალია მათი ბედნიერების ინდექსი. ქვეყანა თავისი გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო დიდი საშიშროების წინაშე დგას. დიდ სახელმწიფოებს თავისი ინტერესები აქვთ და შიდა დესტაბილიზაცია, დაპირისპირება საქართველოს განვითარებას შეაფერხებს. იმედია, პარტიები გაიზრდებიან თავიანთ მომავალ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავლის წინაშე. ეს არის ვალი ერთიანი საქართველოს თავისუფლების დემოკრატიისკენ მიმავალ ურთულეს გზაზე.

მანამდე კი რჩება კითხვარით არის ფეხმძიმე დემოკრატიული საქართველო?

ზ. აბრალავა



ხალხის უკმაყოფილება არ ნიშნავს „ნაცხის“ დაბნელებს რეჟიმის დაბრუნებას, მის აღორძინებას ქართველი ხალხი არ აპატიებს „ოცნებას“, რომელსაც ისინი ბავრი უხელოები აქვს დაუხედავლი, მათ შორის - არ აღადგინა სამართალი და არ დასაჯა დაბნელებს რეჟიმის ლიდერები.

მაიკ პომპეოს ვიზიტის მთავარი აქტუალები
დაღვა მოქმედი რეჟიმით აშშ-ს წარმომადგენლობის განყოფილების



17-18 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, მაიკ პომპეო საქართველოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში სახელმწიფო მდივანი საქართველოს პრეზიდენტს – სალომე ზურაბიშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრს – დავით ზალკალიანს, პრემიერ-მინისტრს – გიორგი გახარიას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – ილია II-სა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. პირველი შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, ორბელიანების სასახლეში შედგა. შეხვედრის დროს მაიკ პომპეომ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ერთგულება დაადასტურა.

პრეზიდენტთან შეხვედრაზე პომპეომ საქართველოს მიერ გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილ წვლილზეც ისაუბრა და ქვეყნის მიმართ პატივისცემა გამოხატა.

„სახელმწიფო მდივან პომპეოსთვის სასიამოვნო იყო პრეზიდენტ ზურაბიშვილთან შეხვედრა ორბელიანის ისტორიულ სასახლეში, სადაც ადრე აშშ-ის საელჩო იყო განთავსებული. შეხვედრაზე სახელმწიფო მდივანმა შეერთებული შტატების სახელმწიფო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ერთგულება დაადასტურა და გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ქვეყნის მიმართ პატივისცემა გამოხატა.“ – ნათქვამია აშშ-ის საელჩოს მიერ გავერცხვებულ ინფორმაციაში. პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო მდივანი პრემიერ-მინისტრს, გიორგი გახარიასა და საგარეო საქმეთა მინისტრს, დავით ზალკალიანს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისა და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების საკითხებზე ისაუბრეს.

პომპეომ შეხვედრისას აღნიშნა, რომ აუცილებელია რეგიონში აშშ წარმომადგენლობის გაძლიერება.

“ჩვენი თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერების, ასევე ამ რეგიონში შეერთებული შტატების გაძლიერებული წარმომადგენლობის მომენტი დაღვა”, – განაცხადა პომპეომ.

სახელმწიფო მდივანს, პრემიერ-მინისტრ გახარიასა და საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანს შორის შეხვედრისას მაიკ პომპეომ ყურადღება გაამახვილა საარჩევნო და სასამართლო რეფორმების მნიშვნელობაზეც.

მაიკ პომპეომ ყურადღება გაამახვილა საარჩევნო და სასამართლო რეფორმების მნიშვნელობაზეც.

„პატრონო პრემიერ-მინისტრო, ძალიან მიხარია, რომ აქ ვიმყოფები. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები იქნება განსახილველი და ყველა თქვენს მიერ ჩამოთვლილი ასპექტი შესაბამისად მოვინიშნეთ. ჩვენ შესანიშნავი მეგობრები ვართ უკვე 30 წელია. მხარს ვიჭერთ დემოკრატიულ საკითხებში და ერთად ვმუშაობთ იმ საკითხებზე, რომლებიც თქვენი ქვეყნის ოკუპაციიდან მომდინარე ტკივილსა და სირთულეს უკავშირდება. ყველაფერს გავაკეთებთ მომავალშიც თქვენი ქვეყნის დემოკრატიის პროცესის მხარდასაჭერად, ინსტიტუტების გასაძლიერებლად, რაც მნიშვნელოვანია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის და ყოველივე იმისთვის, რაც მომდინარეობს ჯანსაღი დისკუსიიდან და დემოკრატიიდან. მადლობას გიხდით მასპინძლობისთვის. ვაფასებ ამ შესაძლებლობას და მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრით“, – აღნიშნა მაიკ პომპეომ.

სახელმწიფო მდივანმა პანდემიაზე, ეკონომიკურ კრიზისზე და მასთან გამკლავების პროცესში თანამშრომლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ აშშ და საქართველო პანდემიას ერთად გაუმკლავდებიან. „პანდემიას ერთად გაუმკლავდებით, ჩვენს ხალხს გაუფრთხილდებით და ეკონომიკას ავამუშავებთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნის, რეგიონისა და მსოფლიოს კეთილდღეობისთვის“, – განაცხადა პომპეომ. თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერებაზე ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა გახარიათ და სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრისას.

„რა თქმა უნდა, მადლობას გიხდით შეერთებული შტატების მხარდაჭერისთვის ახალი კორონავირუსის დაძლევის საქმეში. კარგად მოგეხსენებათ, რომ ძალიან წარმატებული თანამშრომლობა გვაკავშირებს ლუ-

გარის ლაბორატორიის სახით, რომელიც მეტად საკვანძო ასპექტია ახალ კორონავირუსთან ბრძოლის საქმეში. უპირველეს ყოვლისა, ხაზი მინდა გავუსვა, რომ ნამდვილად ვაფასებთ შეერთებული შტატების ხალხისა და მთავრობის უწყვეტ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

კარგად იცით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიები ოკუპირებულია, რადგან საოკუპაციო ძალები კვლავ არიან განთავსებული ჩვენს მიწაზე. ჩვენ ვიცით, რომ ეს სტრატეგიული პარტნიორობა უპირველეს ყოვლისა ეფუძნება ფასეულობებს – თავისუფლებას, დემოკრატიას და რა თქმა უნდა, საერთო ეკოსტრატეგიულ ინტერესებს. რეგიონისთვის ამ ძალიან

მსოფლიოში რელიგიის განვითარების მხარდაჭერის კუთხით საქართველოს როლზე ისაუბრეს.

„სახელმწიფო მდივანი პომპეო სიამოვნებით შეხვდა მის უწმინდესობას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქ ილია II-ს. შეხვედრისას სახელმწიფო მდივანმა და მისმა უწმინდესობამ განიხილეს საქართველოს მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოში რელიგიის თავისუფლების მხარდაჭერის კუთხით“, – ნათქვამია აშშ-ს საელჩოს მიერ გავერცხვებულ განცხადებაში. ვიზიტის ბოლოს სახელმწიფო მდივანმა შეხვედრა გამართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. პომპეომ შეხვედრისას ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი როლზე კანონის უზენაესობის ხელშეწყობასა და თანამედროვე



სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში. თუმცა სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ამ მხრივ საქართველოში გასაკეთებელი კიდევ ბევრია და აშშ მზადაა მხარდაჭერის გასაგრძელებლად. „სახელმწიფო მდივანი პომპეო სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სასამართლო რეფორმასა და საქართველოს განვითარებაში სამოქალაქო საზოგადოების როლზე

ცვალებად დროში ვაცნობიერებთ, რომ ეს საკითხები განსახილველია. ძალიან კარგი შესაძლებლობა გვეძლევა მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკისა და დემოკრატიის კონსოლიდაციის საკითხებზე თანამშრომლობის გასაძლიერებლად. მინდა დავარწმუნოთ, რომ ნამდვილად ვგრძნობთ, რომ ჩვენი თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერების, ასევე ამ რეგიონში შეერთებული შტატების გაძლიერებული წარმომადგენლობის მომენტი დაღვა.

გულწრფელი და ღია საუბრისთვის შეხვდა. სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა საქართველოს ბოლოდროინდელი ძალისხმევა სასამართლო რეფორმის კუთხით და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი როლი კანონის უზენაესობის ხელშეწყობასა და თანამედროვე სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში.

თუმცა, ყველა შეთანხმდა, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და შეერთებული შტატები მზადაა მხარდაჭერის გასაგრძელებლად. შეხვედრაში ჩართული იყო საქართველოში მოღვაწე მრავალი პროფესიონალური არასამთავრობო ორგანიზაციის ნაწილი, მათ შორის: საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, საქართველოს დემოკრატიის ინიციატივა,



კიდევ ერთხელ მოგესალმებით და მადლობას გიხდით საქართველოში ვიზიტისთვის“, – მიმართა გიორგი გახარიათ მაიკლ პომპეოს.

შეხვედრა შედგა საპარტიარქოშიც, სადაც მაიკ პომპეომ და ილია II-მ

ღია საზოგადოების ფონდი, უფლებები საქართველო და საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, – ნათქვამია აშშ-ს საელჩოს განცხადებაში.

ფოთის საფეხბურთო სკოლა „ბომბდუი“
ორი ახალი სისოსხლე დაიბადა



მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, ფოთის სამშობიარო სახლში ორი ახალი სიცოცხლე დაიბადა. ბედნიერი ვარ, რომ უილიამ ბობოხია და ნენსი თოფურია სწორედ ჩვენს ქალაქში მოვევლინენ ამ ქვეყანას. ვულოცავ მშობლებს და კლინიკის მედპერსონალს ამ დიდ ბედნიერებას. პატარებს კი ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებულ მომავალს!

ფოთის „ჭაბონაჟა“ სონის „სონს“ დაუპირისპირდა
და მოინდინაღვაჟა ანგარიშით 3-0 დაავარსხა

22 ნოემბერს ფოთის საფეხბურთო ცენტრის მთავარ მოედანზე მოყვარულთა თასის დასავლეთ საქართველოს ზონის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა, სადაც 8 გუნდი მონაწილეობდა. ფოთის „ჭაბონაჟა“ სონის „სონს“ დაუპირისპირდა და მოწინააღმდეგე ანგარიშით 3-0 დაამარცხა. ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი ჭაბონაჟამ გიორგი ფარდალავას გოლით მინიმალური ანგარიშით მოიგო. ფოთელებმა მხოლოდ მატჩის ბოლოს შეძლეს სრული უპირატესობის მოპოვება, გიორგი ფარდალავან კიდევ ორჯერ დალაშქრა მოწინააღმდეგის კარი და გუნდს დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანა. დანარჩენი მეოთხედფინალები კი ასე დასრულდა. „სამპომ“ 3-2, „სამეგრელო“ დაამარცხა. „მაკანეთმა“ 2-1 სძლია „ბაშს“. ხოლო „მეგრის“ და „ოდაბადეს“ შეხვედრა „მეგრის“ სასრულებლად 7-2 დასრულდა. ოთხშაბათს 25 ნოემბერს ნახევარფინალები გაიმართება, ხოლო 28 ნოემბერს ფინალი სადაც დასავლეთის ჩემპიონი გამოვლინდება. იგი აღმოსავლეთის ჩემპიონს დაუპირისპირდება და მოყვარულთა შორის საქართველოს ჩემპიონი გამოვლინდება.



ნათ თელუა
ცნობილი მეფუტკრე და სახსლხო მოქმელი



ვიხზე ნამყენი

ის ხაც ხედა მენს თვარენ
უხნეობა საწყენია!
ჟაცს ხედავ და ახა ჟაცობს,
ჟაცს ვიხზე ნამყენია!
ამ ქვეყანას სურ გიგინებს,
სიამოვნებს ახ წყენია,
გაბიხადე და შეედავო,
გაიჯვიხვებს ხა წყენია!?

ახავის ელოება

ვინც ახავის ელოება!
ვის ახავინ ელოება!
გაახახე და ესტეხე,
ხოცა სურ ახ გელოება!

ზხიღომბისთვის!

ზხიღომბისთვის მოთეხება,
ოკითხება ადვილად,
სურ ახათხად ხომ ჩავთვალომ
მას ჟომბა ნამდვილად,
შენც უნდა დაიმშვენო,
გახთელება ხას გახგებს!
ახე მშვიდად შეგეება,
მაგალითად სხვას ახგებს!!!

მეუხნალი

ნეტავ ვიყო მე მეუხნალი!
სამეუხნალო ახვინ იყოს,
ახ მოვითხომვ მე ესაქმეხს,
სხვებმა რემა ხომ გამიყოს.

გამოსავალს მე თვით ვნახავ,
თუგინდ სათაჯილო იყოს!

მიზეზი

ხა ჟახგია ნესად გვქმნებს
აზიხს გაზიხება!
ისე, ახვის მივაცემოთ
ხამის დაზიანება!
მოსმენა და შეჯეხება
ინტელექტის ვაღია!?
ახ ვეძებოთ უმიზეზოდ,
სამიზეზო ბიარია!

ალექსანდრე რუსია



გზები ქაჩა, სიფათი ახ, მეყო?!
უნმიდესო, სამახთალო ჩემო,-ძველის-ძველი,
მოღგმით საფიცაჰო! ისევ მეჩინს, გელი ხოგოხე მანდევ...
ხოგოხე სახემლებს, თბილად მომზიხალებს,
თეთნელს, ცელქად, მომცქიხარმა ვენდო?!
ძველი, შენი, ნისლიანი გზები-მონატეხებით
ახსად, შემახვედემ!
ხომ შენია, ჩემივ ძველი სისხლით,
ახასლოდეს ამოშალო ღმერთო!

შავი ძაძა, ვაით, ხელჩაქნელი
და ღემილი მნახე სევლის ხვედხად,
ჯავი ქაჩებს, შემოღგომით მოქმნდათ,
მნეხახება გადმოგვყუხებს წლებთან.
ახა, დილა. აღახე გაზატხედება?!
მხოლოდ შავად თენდება მზიანს.
ეითი გელი დანვეს ხოგოხე გენა?!
გზად ახ შეხვდეს გოღგოთის გზის ნიავს.
შენი შავი თვარებიდან მლოცავს,
ზიხება შენი, მნეხახებისა...
მეხეც ჟახგო ეს, იყოღე იმედავ,ხომ მხახ-დამხახ,
გითანაგხიქს უძინახს, ხოგოხე ციდან
მუხლმოყილი ბაზმებთან.
ღვთისმშობელმა დაგილოცა ჟართა
და შობილი მისგან ცხონდა ვით ზეციუი ბაგას.
ჰო, ხელები, უტეხეუნი წვიმებით,
ახე ღოცავს, წმინდა სანთლებს ხატთან.

ღო და სევით ამოჯვენელი ქაჩებს...
ხომ ცხომვიდაც აწიოჯდა ხალაც?!
სელი საშველს ეძებს, გელი ჩაჩა!
სხვამ ხა უთხას, გატეხებულ ზღაპახს?!
-ყვადას ხოცა შეებხადა თავი...ხოღი იღგა
უღლის მახთად ხატთან?!
ღმერთი სწყალობს გელმიდახ და ნათელ გზებით მადავს-
შენ ხა იცი?! თუ ხაოღენ მივჯეღელე უღლის წმინდა ჟვახცმას და
მის მტანჯველ ამბავს!...
ხოცა ახვის შესაბხალი ეგო?!
უღლის წმინდა სანამებელ
სხეულს. ვით განწიხელს ღმერთი სწყალობს მახად.
მაშ! იმელი?! შენი ხწმენით დასახელღმი მადავს.
ახად ჟაცად დაგაბედა ტანჯვით გზების გავდა და
აღღგომით ქაჩებს ეჩინს შენი სელის ძადა.
ქიხსე ღმერთი გვეღით გეგა, ხომ უშიშახს გევხახ.
გწყალობს მისი წმინდა ქცევა - გისახსლოჯა სევდა.
ამით ამალღი აღღგომიდან, ხოგოხე უღლის ნება.

ვაზის ჟვახთან ვახი ამოენთო,
ესახელო, წმინდა სიტყვით გენდო,
მისგან შენი ღოცვა ტეხდას ეყო,
ქაჩა ყველა შენს შემოღგომს ღმერთო!
მწვეხვარები, ღეუბლით ნაზიხებას,
ხოცა მესმის ბოღბის წმინდა ზახებს
მახარისებს, უღლის ნებას ჰბადებს
გელს სიხახელს!-ახას სევდას -ჯავიხებს!
მონავვენებმა სახეჯელზე დაჰჯიხეს-სახეუფველს,
ქანწელები ახლენენ და იესოს წინოს ჟვახით დახვდენენ
ვახი ეითი უხსოჯომბის ნამეცეს,
ისე, ხოგოხე შენი სელის ნალველს
და ამ გზებით თეხშიშველად გამველს
თმა-ნანწავით აუჯიხათ ჟვახი...
ეს მითხახით ჩვენს მხახეში წმინდა ქანწელს
ახე ხოგოხ ჰგავდი?!...
შენ, შენს ჟართას საქახთველს ცოღვიღ მხახეს აფენ...

მოღი ჩაგეხეუტები, შენი გელის ჩექებით
თბილი თითის წვივები... სელში ჩამესვენები
ოლონდაც ეი მისახსლოჯი უჯოჯახა წელები.
მხოლოდ ეითი ჩემით სუნთქავ ხომ გარეე შიხები...
სიყვახელის ტებილი ენით უხმოღ დაიხები
-ახა! ეითხელ ახა გითქვამს და ჰოსაც ახ სჯეღები,
შენი გელის ამოცანას აუხსნელად მჰიხები,
მოღოღინით წინ გიბიძგებ, შახის მოგსებებ გიძმობებით,
დაჰიხება შენ ახ გითქვამს -ემოციით მიტყებები,
ქარი ტყვილად ახა გქვია ნაბიჯით წინ მისწიხები,
გამომიტყვი ვნება სუხვილს - სიყვახელით გაგიცვიღ,
ახა გჯეხა?! - მე გელი მავს -შენ ავხმიცი სუხვილი!

ძველ მოჯახში შემოსახელი მხოო,
ღაგამს, ნე მსებებ, აღვიხს ესაშველს,
ახლის ქიხი, სიხახელით მეგო,
გელი ვეი სძებებს, ახე, მიტოვებულს,-ხადგან
ისევ, განწიხელად მეტობს!

ხსოვნა

გენადი სასოკია



ხაზზე დამწვრივებულები. ბატონ-მა ედუარდმა გადაწყვიტა გასაუბრებოდა თითოეულ სპეციალისტს...

ქალაქის საინჟინრო ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა, მას გამოაკლდა გენადი შოთას ძე სასოკია. იგი დაიბადა ქ. ფოთში 1949 წლის 26 მარტს.

კუბიდან დაბრუნებულ შემდეგ ბატონი გენადი დაუბრუნდა თავის საყვარელ ქარხანას, სადაც წამყვანი საამქროს უფროსად მუშაობდა.

ის იყო წარმატებული მენეჯერი, კარგი მეგობარი, იმედი თავის ირგვლივ მყოფი ადამიანებისათვის, იყო იუმორით სავსე ადამიანი, მოსიყვარულე ოჯახის, ქალაქის, სტუმრის და კეთილგანწყობილი მთელი ქვეყნისათვის.

როცა კარგი კაცი მიდის ამ ქვეყნიდან გვახსენებს, რომ მარადიულები არა ვართ და ვიდრე ცოცხლები ვართ, გვიყვარდეს ერთმანეთი. ვემსახურეთ ქვეყანას. ესაა ჩვენი მამულიშვილური ვალი.

ამიტომაც დიდხანს დარჩება მისი ხსოვნა ახლობლების, მეგობრების, თანაქალაქელების გულში.

მეგობრები

გულნარა შორღანია - პარპიას ხსოვნას



ნათქვამია ძმად ძმითა ხარ ძლიერით. ჩვენი სიძლიერე ის იყო - ოთხი და, ოთხი ქორღანია, დედამამიშვილური სიყვარულიც სამაგალითო იყო.

ჩვენო საყვარელო დაო, შენი ცხოვრება ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა. ბედმა მრავალი გამოცდა მოგიწყო, ორი ანგელოზი ბიჭი ღმერთმა მასთან წაიყვანა.

შენ იყავი საუკეთესო ქალი, მეუღლე, დედა - რომელიც შვილებზე ფიქრსა და ზრუნვაში ათენებოდა და ადაბებდა. შენს დარდს არავის არ აჩვენებდი.

დედს იშვიათია ასეთი აღზრდილი გოგონა, რომელმაც პირველივე დღიდან უდიდესი სიბოძო და სიყვარული გამოამჟღავნა შენს მიმართ.

ლევანი იმედიანად დატოვე, მაგრამ თან გაიყოლე შენი ზურიკოს

დარდი, მაგრამ ნუ გეშინია, შენი შვილები შენი და მურთაზის ტრადიციებს გააგრძელებენ და იცხოვრებენ ბედნიერად.

ჩვენ კი, შენს დებს დაგვიტოვე მოუშუშებელი ჭრილობა.

შენ იყავი ჩვენთვის მისაბაძი ადამიანი, რომელსაც არასოდეს არავისთან არაფერი შეგშლია. ჩვენ ვცდილობდით შენნაირი ვყოფილიყავით.

შენი ამქვეყნიური ცხოვრება იყო დარდითა და ტკივილით სავსე.

ღმერთმა ქნას, რომ იქ, სამუდამო განსასვენებელში ჰპოვო სიმშვიდე, რადგან იქ მეორე ოჯახი გვხვდება-მეუღლე და ორი ვაჟკაცი. იყავი მათთან და აქ დარჩენილებს დაუდექი ფარად და იზრუნე მათი სიმშვიდისათვის.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მიწა, რომელიც გულზე გაყრია. შენ აქ ანგელოზი იყავი და იქაც შენი კუთვნილი ადგილი გექნება.

ჩვენი ნუგეში კი შენი შვილები, შენი შილიშვილი გიგა და მარიკუნა არიან და მათში დავინახავთ შენს სახეს და ამით გავაგრძელებთ ცხოვრებას და შენი ხსოვნის უკვდავყოფას.

სერგო ჯიუჟარიანის ხსოვნას



გაზრდა წახვედი ამქვეყნიდან და ასე ახალგაზრდა დარჩები მარად.

16 დეკემბერს შევისრულდებოდა ორმოცდაცხრა წელი. ყოველ ამ დღეს გიხსენებთ და უშენოდ ვზივართ ტკივილიან სუფრასთან.

თეატრი შენი მეორე ოჯახი იყო და ყოველი დღით სიხარულით შეადგებდი ხოლმე თეატრის კარებს.

შენი სხეული მიიბარა სამუდამოდ ფაზის ქალაქის ფაფუკმა მიწამ, სული კი მაღლა ზეცაში უფაღმა.

რამაჯ ლაზვილაძა. ფოთის სახელმწიფო თეატრის თანამშრომელი.

ევა გიგაშვილი, გოგი გუდავაძე შვილებით, შვილიშვილებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ნაღდი ფოთელის, გემთმშენებლობის დამსახურებული მუშაკის

გენადი შოთას ძე სასოკიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

მსატკრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ ვინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარეხედი, ინტერიერი გააღამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.



რევაზ ჭანჭურიძე. ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაკირო, ბაზრის ტერიტორია)

განსხილება:

იყიდა ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი. მის: ნიკრუსალიძის №4 ტელ: 551 499 555

გაზეთის ნომრის სომსორია ვას „ფოთიანეზბრანის“ ღირებურონი აკაკი ქვანთი, რისტონისას ვაღლოვას ვუხდით მას.